



# ქართული მას-მედია და რუსეთ-უკრაინის ომი

## გამოწვევები და რეკომენდაციები

პოლიტიკის დოკუმენტი

ზვიად ავალიანი, პოლიტოლოგი, ჟურნალისტი,  
2020-2022 წწ, კომუნიკაციის კომისიის მედია აკადემიის  
მედიაკრიტიკის მიმართულების ხელმძღვანელი

კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი GPPAC-ის სამხრეთ კავკასიის დიალოგის 2022 წლის პროგრამის ფარგლებში აგრძელებს პოლიტიკის დოკუმენტების შექმნას და აქვეყნებს როგორც სამშვიდობო საქმიანობაში ჩაბმული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ისე ფართო აუდიტორიისათვის.

2022 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, პოლიტიკის დოკუმენტები, ძირითადად, ეძღვნება ამ თემატიკას რეგიონულ და ეროვნულ კონტექსტში.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ICCN-ის პოზიციას.

2022

თბილისი, საქართველო

## 1. შესავალი

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა, რომელიც 2022 წლის 24 თებერვლიდან სრულმასშტაბიანი ომის ფორმა მიიღო, მკვეთრად დაჩრდილა ყველა სხვა შიდა თუ საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენა და მთავარ საინფორმაციო თემად იქცა როგორც თავად რუსეთსა და უკრაინაში, ასევე რეგიონის სხვა ქვეყნებში და, მათ შორის, საქართველოშიც.

ამასთან, ომის თემამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა არა მხოლოდ უშუალოდ მედიაში, საინფორმაციო პოლიტიკაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების დღის წესრიგში, რომლებიც პერიოდულად აქვეყნებენ თავიანთ შენიშვნებს, ანგარიშებსა და რეკომენდაციებს ომთან დაკავშირებული პროპაგანდისტული თუ სხვა ტიპის საფრთხეების შესახებ.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, დღეს, ომის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ, უკვე შესაძლებელია გარკვეულწილად შევაჯამოთ ის ტენდენციები, სპეციფიკა და პრობლემატიკა, რომელიც ქართულ საინფორმაციო სივრცეში რუსეთ-უკრაინის სრულმასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტის ფონზე გამოიკვეთა და ასევე ის შენიშვნები რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები გასცემენ.

ამგვარი ანალიზი საშუალებას მოგვცემს ერთი მხრივ გავარკვიოთ რამდენად შეესაბამება გაშუქების არსებული მოდელები პროფესიულ სტანდარტებსა და საზოგადოების ინტერესებს, ხოლო მეორე მხრივ დავადგენთ, როგორია არასამთავრობო სექტორის როლი და მიზანი ამ პროცესში, რა გავლენა აქვს მას რეალურად მედიაზე და რამდენად ობიექტურია მათი დამოკიდებულება.

ვიდრე კონკრეტულ ფაქტებსა და ტენდენციებზე გადავიდოდეთ, უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული მედიის უდიდესი ნაწილმა ომის დაწყების მომენტიდანვე დაიკავა გამოკვეთილად პრო-უკრაინული პოზიცია, რაც ქვეყნისა და საზოგადოების უმრავლესობის მიერ დაფიქსირებული ევროატლანტიკური ორიენტაციის ფონზე სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს.

მეტიც - უკრაინის გულშემატკივრობის ხარისხს უდავოდ კიდევ უფრო აძლიერებს ორ ქვეყანას შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობის ტრადიცია და ამის საპირისპიროდ, რუსულ-ქართული კონფლიქტისა და 2008 წლის ომის ფაქტორი.

## 2. როგორ შექდება კონფლიქტი ქართულ მედიაში

ამ გარემოებათა გათვალისწინებით და მათგან გამომდინარე, კვლევის პროცესში მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ განვლილი სამი თვის მანძილზე ფაქტობრივად ყველა მედიასაშუალება, რომელიც საზოგადოებაზე გავლენის მასშტაბით<sup>1</sup> შეიძლება „მას-მედიის“ კატეგორიას მივაკუთვნოთ, პრო-უკრაინულ პოზიციაზე იყო, ხოლო ის მედიასაშუალებები, რომელიც პირობითად ნეიტრალურ ან/და პრორუსულ პოზიციებს გამოხატავდნენ, კონტენტის გავრცელების სპეციფიკის, მასშტაბისა და საზოგადოებრივი გავლენის თვალსაზრისით უფრო ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებს შეიძლება მივაკუთვნოთ.

საგულისხმოა, რომ ასეთი „პროპორციის“ მიუხედავად მედიასა და საინფორმაციო პოლიტიკაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკა<sup>2</sup> და შენიშვნები როგორც წესი მთელი ამ დროის მანძილზე მიმართული იყო სწორედ ამ მცირე და, გავლენის თვალსაზრისით, გაცილებით უფრო უმნიშვნელო ჯგუფისკენ, რაც იმას მიანიშნებს, რომ ხსენებული ორგანიზაციების ინტერესი რეალურად შემოიფარგლება მხოლოდ რუსული მხარის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლით, თუმცა რეალურად ომმა ქართულ მედიაში (და, მათ შორის იმ მედიასაშუალებებში, რომლებიც ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენენ) არაერთი სხვა გამოწვევაც გაააქტიურა.

## 3. ძირითადი მიგნებები

ამ გამოწვევებისა და პრობლემური ტენდენციების აღწერა ალბათ უნდა დავიწყოთ ომის „თეატრალიზებისა“ და ერთგვარ „რეალითი შოუდ“ წარმოდგენის მცდელობებით, რაც ჯერ კიდევ 24 თებერვლამდე დაიწყო და განსაკუთრებით შესამჩნევი იყო პირველი რამდენიმე კვირის მანძილზე. ამ დროს რამდენჯერმე დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ცალკეულმა მედიასაშუალებებმა პირდაპირ ეთერში გადასცეს უკრაინული და / ან უკრაინის მხარეს მებრძოლი მოხალისეების გადაადგილებისა და ადგილსამყოფელის ამსახველი კადრები, გვთავაზობდნენ ინტერვიუს უშუალოდ მებრძოლებთან სადაც იდენტიფიცირებული იყო მათი სახე, სახელი, სამხედრო წოდება და ა.შ.

<sup>1</sup> [https://www.iri.org/wp-content/uploads/legacy/iri.org/iri\\_poll\\_presentation-georgia\\_february\\_2021\\_1.pdf](https://www.iri.org/wp-content/uploads/legacy/iri.org/iri_poll_presentation-georgia_february_2021_1.pdf)

<sup>2</sup> <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/91869-ra-achvena-prorusuli-mediasashualebebis-diskursze-dakvirvebam-dri-is-angarishi>

გაშუქების ამგვარი „უშუალო“ სტილი ბუნებრივია არ ემსახურებოდა საზოგადოების ობიექტური ინტერესის დაკმაყოფილებას. პირიქით - შეიძლება ითქვას რომ ეს სტრატეგია თავად იყო მიმართული ქართული წარმოშობის მებრძოლების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის შექმნისკენ, თუმცა ომის პირობებში ამგვარი „პერსონიფიკაცია“ პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა უპირველეს ყოვლისა თავად საბრძოლო მოქმედებებში ჩართულ პირებს და, გარდა ამისა, უკიდურესად დამაბული საერთაშორისო ფონის გათვალისწინებით, თითოეული ასეთ შემთხვევა თავის თავში შეიცავს სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური პროვოკაციის საფრთხესაც.

შემდეგ, მას-მედიის იმ ნაწილში, რომელიც ოპოზიციური სარედაქციო პოზიციით გამოირჩევა, აშკარად გამოიკვეთა რუსეთ-უკრაინის ომის შიდაპოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გამოყენების მცდელობა; მაგალითად, ცალკეული მედიასაშუალებები ხშირად აკრიტიკებ(დნ)ენ ხელისუფლებას უკრაინისადმი „არასაკმარისი სოლიდარობის“ ან სულაც „პრორუსული პოლიტიკის“ გატარების გამო, რაც ბუნებრივია არასახარბიელო ფონს ქმნის როგორც უშუალოდ უკრაინასთან, ასევე დასავლელ პარტნიორებთან ურთიერთობის პროცესში.

ამ ტენდენციის ილუსტრაციად შეგვიძლია განვიხილოთ თუნდაც ტელეკომპანია „ფორმულას“ 24 იანვრის დღის საინფორმაციო გამოშვება <sup>3</sup>, სადაც წამყვანმა უკრაინიდან ჩართულ ანალიტიკოსს, ევგენ მაგდას რამდენჯერმე კითხა, თუ როგორ აღიქმება კიევში თბილისის „დუმილი“. საგულისხმოა, რომ ამ დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს <sup>4</sup> უკვე გაკეთებული ჰქონდა განცხადება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რის შესახებაც წამყვანს აბსოლუტურად არაფერი უთქვამს, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჟურნალისტის მცდელობების მიუხედავად, სტუმარმა საკუთარ თავს არ მისცა საქართველოს პოზიციის „შეფასების“ უფლება. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში, ქართული მას-მედიის ოპოზიციური ნაწილის ამგვარი პათოსი ცხადია დადებითად არ აისახებოდა საქართველოს იმიჯზე უკრაინაში.

განვლილი სამი თვის მანძილზე ქართულ მას-მედიაში ასევე განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა თანამედროვე ჟურნალისტიკის ერთერთი უმთავრესი „თავის ტკივილი“ - გადაუმოწმებელი, დაუზუსტებელი და არასწორი ინფორმაციის პრობლემა.

<sup>3</sup> [https://www.facebook.com/watch/live/?extid=CL-UNK-UNK-UNK-AN\\_GK0T-GK1C&ref=watch\\_permalink&v=2065244576968773](https://www.facebook.com/watch/live/?extid=CL-UNK-UNK-UNK-AN_GK0T-GK1C&ref=watch_permalink&v=2065244576968773)

<sup>4</sup> <https://formulanews.ge/News/63435>

აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთ ფორსმაჟორულ ვითარებაში, როგორც ომია, მოვლენების ეპიცენტრში მომუშავე ჟურნალისტს ან მედიასაშუალებას ყოველთვის უჭირს ინფორმაციის გადამოწმება თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ მოვლენები სწრაფად ვითარება და სიტუაციაც ზოგჯერ ძალიან სწრაფად იცვლება.

გარდა ამისა, უშუალოდ მეომარი ქვეყნის მედია, როგორც წესი, საკმაოდ შეზღუდულია როგორც ინფორმაციის მოპოვებაში (იგი ძირითადად სახელმწიფოს ოფიციალურ უწყებებს და წყაროებს ეყრდნობა) ისე მათ ინტერპრეტაციაში, თუმცა ქართულმა მედიასაშუალებებმა დაპირისპირებული მხარეების (ჩვენს შემთხვევაში - ძირითადად უკრაინის) მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ტირაჟირებისას სასურველია ინფორმაცია გადაამოწმონ სხვა ავტორიტეტულ წყაროებში, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ხაზგასმით მიუთითონ რომ ცნობა უკრაინულ გამოცემაზე ან მედიაზე დაყრდნობით ვრცელდება, რაც ნათლად განსაზღვრავს ინფორმაციის პირველწყაროს და პასუხისმგებლობას.

ამის ნაცვლად ქართული მედიასაშუალებების დიდი ნაწილი, როგორც წესი, პირველწყაროს მითითებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილების გარეშე ავრცელებს უკრაინულ მედიაში გავრცელებულ ცნობებს, რომლებიც ზოგჯერ არ დასტურდება და საბოლოო ჯამში თემის ირგვლივ საზოგადოების არასწორ ინფორმირებას და დაბნევას იწვევს.

უკრაინული მხარის მიერ გავრცელებული ცნობის პირდაპირი კოპირების მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ გახმაურებული ისტორია კუნძულ ზმეინის მცველების განადგურების შესახებ<sup>5,6</sup>, რაც საბოლოოდ არ დადასტურდა, თუმცა ქართული აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც თავდაპირველად გავრცელებული ვერსიის გავლენის ქვეშ დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში ქართული მედია თვით უკრაინულ პირველწყაროზე შორსაც მიდის საკუთარ ინტერპრეტაციებში, რითაც ისევ და ისევ მედიაპროდუქციის მომხმარებელი, ანუ აუდიტორია ზარალდება, რადგან არასწორ ინფორმაციას იღებს და აქედან გამომდინარე, საკითხთან დაკავშირებით არასწორი წარმოდგენა უყალიბდება. ამგვარი მიდგომის ყველაზე მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ცნობები რუსეთის არმიის დანაკარგების შესახებ, რომელთაც რიგი ქართული მედიასაშუალებები ფაქტობრივად ყოველდღიურ რეჟიმში აქვეყნებენ,

<sup>5</sup> <https://kvispalitra.ge/article/89570-rusulo-samxedro-xomaldocadi-sam-asoze/>

<sup>6</sup> <https://tabula.ge/en/news/680948-ukrainelebma-kundzuli-zmeini-daibrunes>

თუმცა ამ ცნობებში აშკარად იკითხება რუსული მხარის დანაკარგების „გაზრდის“ და ამით ერთგვარი პროპაგანდისტული ეფექტის მოხდენის მცდელობა.

ცნობისთვის, რუსეთის არმიის ცოცხალი ძალის დანაკარგს, რომელსაც უკრაინული მხარე დღეისთვის დაახლ. 30 000 ჯარისკაცით განსაზღვრავს, ქართული მედიასაშუალებები ხშირად „მოკლულებად“<sup>7</sup> წარმოგვიდგენენ<sup>8 9</sup> მაშინ, როცა რეალურად დანაკარგი მოიცავს არა მხოლოდ დაღუპულებს, არამედ ტყვედ აყვანილებს, დაჭრილებს (რომელთა რაოდენობაც, როგორც წესი რამდენჯერმე აღემატება გარდაცვლილების რაოდენობას) და ა.შ.

კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც ქართულ მას-მედიაში ომის დაწყებიდან პირველივე კვირაში გამოიკვეთა არის საკუთარი შეფასებებისა და ემოციების ჭარბი დემონსტრირება. ამასთან, ნეგატიური დამოკიდებულება მას-მედიაში ხშირად ვლინდება არა მხოლოდ რუსეთის (და ზოგჯერ, ბელორუსის<sup>10</sup>) სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ, არამედ ფაქტობრივად რუსეთის ფედერაციის ნებისმიერი მოქალაქესთან მიმართებაში, რომელიც ხშირად ა-პრიორი განიხილება როგორც საფრთხე.

მაგალითად, ომის დაწყების შემდეგ ქართულ მედიაში იყო რამდენიმე ხმაურიანი კამპანია რუსეთის მოქალაქეების (ასევე, „სლავური გარეგნობის“) ადამიანების შესახებ, რომლებიც, სხვადასხვა მედიასაშუალებების ცნობით, საქართველოში დივერსიულ საქმიანობას ეწეოდნენ, ნახატებით „ნიშნავდნენ“ სტრატეგიულ ობიექტებს რუსეთის ავიაციისთვის, ანადგურებდნენ უკრაინის სიმბოლიკას და ა.შ.

მიუხედავად იმისა რომ ზოგ შემთხვევაში გაჟღერებულ ვარაუდები სინამდვილეს აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა, მედიამ სკანდალური და პროვოკაციული გაშუქებით აშკარად შეუწყო ხელი ეთნიკური და მოქალაქეობრივი ნიშნით სიძულვილის გაღვივებას, ხოლო სიძულვილისა და უნდობლობის ფონი ყოველთვის შეიცავს საკუთარ თავში პროვოკაციის საფრთხეს, რაც შეიძლება საბოლოო ჯამში ქვეყნის მიმართ პოლიტიკური ბრალდებების წაყენების საფუძველიც კი გახდეს.

<sup>7</sup> [https://mtavari.tv/news/86854-moklulia-daakhloebit-30-000-rusi-okupanti?fbclid=IwAR3cKusbU7C\\_fy1bg1LSVPSDEYrbrDzlr639WHVPsgGs5S1fWaAWjC1gfPk](https://mtavari.tv/news/86854-moklulia-daakhloebit-30-000-rusi-okupanti?fbclid=IwAR3cKusbU7C_fy1bg1LSVPSDEYrbrDzlr639WHVPsgGs5S1fWaAWjC1gfPk)

<sup>8</sup> <https://www.interpressnews.ge/ka/article/710998-ukrainashi-gasuli-dge-gamis-ganmavlobashi-kidev-400-rusi-okupanti-mokles/>

<sup>9</sup> [http://www.resonancedaily.com/index.php?id\\_rub=4&id\\_artc=156375](http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=4&id_artc=156375)

<sup>10</sup> <https://pia.ge/news/konfliktebi/lukashenko-tdilobs-tavidan-aitsilos-pirdapiri-monatsileoba-rusetis-omshi-ukrainis-tsinaaghmddeg-britanuli-dazverva>



გარდა ამისა, ქართულ მედიაში აშკარად შეინიშნება რუსების, როგორც ეთნიკური ან მოქალაქეობრივი ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინის აქცენტირება სისასტიკისა და აგრესიის ფაქტების გაშუქებისას. მაგალითად, იქ სადაც დასავლური მედია იყენებს ტერმინს „რუსი ჯარისკაცები“<sup>11</sup> (ან რუსეთის ჯარისკაცები) ქართული მედია ხშირად იყენებს ტერმინს „რუსები“<sup>12</sup>, რაც ბუნებრივია ხელს უწყობს მთლიანად რუსი ხალხის (რუსეთის მოქალაქეების ან რუსულენოვანი ადამიანების) მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

საკუთარი ემოციებისა და პოზიციის დემონსტრირება ომის გაშუქებისას ქართულ მედიაში შესაძლოა განპირობებული იყოს ისევე და ისევე უკრაინული მედიის პირდაპირი კოპირებით, თუმცა უკრაინული მედია დღეს სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაშია სხვა ქვეყნების (მათ შორის, მოკავშირე ქვეყნების) მედიასთან მიმართებაში და ის, რაც შესაძლოა ბუნებრივი იყოს უშუალოდ უკრაინული მედიისთვის, შესაძლოა სულაც არ იყოს ყოველთვის ადეკვატური სხვა ქვეყნის მედიასაშუალებების მხრიდან;

უკრაინა დღეს იმყოფება ომის მდგომარეობაში რაც დიდწილად განსაზღვრავს უკრაინული მედიის ამოცანებსაც. უფრო კონკრეტულად - უკრაინის მედია, რომელიც ომის პირობებში მიუკერძოებელი ვერ იქნება, ბუნებრივია ყველა საშუალებით ცდილობს უკრაინელი ჯარისკაცების გამხნევებას და ასევე, შიდა თუ საერთაშორისო საზოგადოების მაქსიმალურ მობილიზებას საკუთარი ქვეყნის მხარდასაჭერად.

უკრაინისგან განსხვავებით, საქართველო დღეს არ არის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის მხარე და პირიქით, ცდილობს თავიდან აირიდოს შესაძლო პოლიტიკური პროვოკაციებისა და ომის საფრთხე. ცხადია, რომ ამ ამოცანასთან მიმართებაში უკრაინული მედიის პათოსის პირდაპირი კოპირება ზოგჯერ შესაძლოა კონტრპროდუქტიულიც კი იყოს, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში მრავლად იმყოფებიან როგორც უკრაინის, ისე რუსეთის მოქალაქეები და მათ ყოველდღიურად უწევთ ურთიერთობა როგორც ერთმანეთთან, ასევე საქართველოს მოქალაქეებთანაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, განვილი პერიოდზე დაკვირვებით მთლიანობაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართული მედიასაშუალებების დიდი

---

<sup>11</sup> [https://www.nytimes.com/2022/05/19/world/europe/russia-bucha-ukraine-executions.html?fbclid=IwAR1D6YnfJP3SfWpvvEMcu5ajOTEo1Dwg9qjzWRWHkD7JTnHOIVfKyQH\\_Hc8](https://www.nytimes.com/2022/05/19/world/europe/russia-bucha-ukraine-executions.html?fbclid=IwAR1D6YnfJP3SfWpvvEMcu5ajOTEo1Dwg9qjzWRWHkD7JTnHOIVfKyQH_Hc8)

<sup>12</sup> <https://netgazeti.ge/life/611625/>

ნაწილი ამჟამად ფაქტობრივად მუშაობს როგორც უშუალოდ მეომარი მხარის საინფორმაციო რესურსი და არა როგორც არამეომარი ქვეყნის მედია, რომელიც უფრო მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს კონფლიქტის გეოსტრატეგიულ განზომილებას, საკუთარი ქვეყნის წინაშე არსებული გეოპოლიტიკური გამოწვევების ანალიზს, კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილ საზოგადოებებს შორის ჰუმანიტარული კონტაქტისა და ნდობის აღდგენის პროცესის ხელშეწყობას და ა.შ.

ამავე დროს, თუ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით და გადავავლებთ თვალს მედიასა და ინფორმაციაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციების (IDFI<sup>13</sup>, MDF<sup>14</sup>, DRI და სხვ.) პოზიციას<sup>15</sup> და მათ მიერ გამოკვეთილ აქცენტებს<sup>16</sup> უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით, დავრწმუნდებით, რომ ერთადერთი პრობლემა, რაც ამ პროცესში მათი ყურადღების არეალში ხვდება, რუსული პროპაგანდა და დეზინფორმაციაა. ეს სავარაუდოდ მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ სხვა მხრივ ქართული საინფორმაციო სივრცე მათთვის სრულიად დამაკმაყოფილებელია ან სხვა გამოწვევები მათი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ზოგ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში ასევე იკითხება უკრაინის თემის შიდაპოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გამოყენების მცდელობა. მაგალითად, MDF-ის მიერ მომზადებულ ანგარიშში „რუსეთის ინფორმაციული ომი - 2 თვე უკრაინაში ინტერვენციიდან“ ნეგატიურ კონტექსტში არის აღნიშნული, რომ მმართველი პარტიის ოფიციალური გვერდები ავრცელებდნენ უკრაინის ხელისუფლების კრიტიკას მეორე ფრონტის გახსნის (მო)თხოვნისა და ქვეყნის ომში ჩათრევის მცდელობის გამო.

გაუგებარია, ამ შემთხვევაში რისი დამტკიცება სურს ორგანიზაციას: იმის, რომ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან „მეორე ფრონტის“ გახსნისკენ მოწოდებები არ ყოფილა და ეს დეზინფორმაციაა, თუ იმის, რომ ამ კონკრეტული მოწოდებებისა და მათი ავტორების კრიტიკა „რუსული ინფორმაციული ომის“ ნაწილად უნდა შევაფასოთ.

<sup>13</sup> [https://idfi.ge/ge/annexation\\_of\\_history\\_russian\\_hybrid\\_war\\_and\\_ukraine](https://idfi.ge/ge/annexation_of_history_russian_hybrid_war_and_ukraine)

<sup>14</sup> <https://mdfgeorgia.ge/uploads//Russia%20Report-GEO.pdf>

<sup>15</sup> [https://idfi.ge/ge/statement\\_of\\_the\\_media\\_coalition\\_76857](https://idfi.ge/ge/statement_of_the_media_coalition_76857)

<sup>16</sup> [https://idfi.ge/ge/tendencies\\_of\\_russian\\_disinformation\\_in\\_georgia\\_along\\_with\\_the\\_war\\_in\\_ukraine](https://idfi.ge/ge/tendencies_of_russian_disinformation_in_georgia_along_with_the_war_in_ukraine)



#### 4. რეკომენდაციები

დღეს რასაკვირველია რთულია იმის პროგნოზირება, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება სამხედრო დაპირისპირება უკრაინაში და რამდენად მოახერხებს მსოფლიო საზოგადოება ომის ლოკალიზებას, თუმცა იმისთვის, რომ მედიამ სულ მცირე, ხელი არ შეუწყოს კონფლიქტის არეალის შემდგომ გაფართოებას და საქართველოს ინტერესების დაზიანებას, ომის პერიოდში ქართულ მედიას განსაკუთრებული პასუხისმგებლიანობა მართებს.

ამისთვის კი უპირველეს ყოვლისა თავიდან უნდა იქნას არიდებული ის პრობლემური მომენტები, რომლებიც განვლილი პერიოდის მანძილზე გამოიკვეთა.

კერძოდ:

- I. მედიამ გაშუქების პროცესში უარი უნდა თქვას პიროვნული ისტორიების ტირაჟირებისა და კონკრეტული მოხალისეების (მებრძოლების) „პიარისგან“, თუკი ამგვარმა გაშუქებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას თავად ისტორიის ფიგურანტებს ან / და გამოყენებულ იქნას ქვეყნის წინააღმდეგ.
- II. მედიამ არ უნდა სცადოს რუსეთ-უკრაინის ომის შიდაპოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გამოყენება, რადგან ამ კუთხით ხელისუფლების დისკრედიტაციის ნებისმიერი მცდელობა, როგორც წესი, აისახება არა მხოლოდ კონკრეტულ მმართველ გუნდზე, არამედ მთლიანად სახელმწიფოზე.
- III. მედიამ მაქსიმალურად უნდა გამიჯნოს ფაქტი შეფასებისგან და მით უმეტეს, საკუთარი სარედაქციო პოზიციისგან. ფაქტების მოწოდებისას, მედიამ სასურველია შემოგვთავაზოს ამ ფაქტთან შეხებაში მყოფი ყველა დაინტერესებული მხარის პოზიცია, რამდენად მიუღებელიც არ უნდა იყოს იგი უშუალოდ რედაქციისთვის.
- IV. მედიამ თავი უნდა შეიკავოს გაშუქების ისეთი ფორმისგან და ისეთი ტერმინების გამოყენებისგან, რამაც შესაძლოა გააღვივოს უნდობლობა ან გამოიწვიოს აგრესია ეთნიკურ ან მოქალაქეობრივ ნიადაგზე. ამავე დროს, აბსოლუტურად დაუშვებელია სიძულვილის ენის გამოყენება თავად მედიის

მხრიდან. ნაცვლად ამისა, სასურველია მედია მაქსიმალურად დარჩეს ომის და შეიარაღებული კონფლიქტის გაშუქების პროფესიულ სტანდარტებში, მით უმეტეს, რომ არამეომარი ქვეყნის მედიისთვის ეს სრულიად შესაძლებელი და ბუნებრივია.

V. მედიამ არ უნდა დათრგუნოს აუდიტორია ომის სასტიკი რეალობის გადაჭარბებული აქცენტირებით და არ უნდა აქციოს ტრაგედია სიძულვილის გაღვივების ინსტრუმენტად. ნაცვლად ამისა, მედიამ უნდა სცადოს კონფლიქტის კონსტრუქციული და დიპლომატიური მოგვარების ხელშეწყობა. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, მედიამ სათანადო დრო უნდა დაუთმოს მხარეებს შორის მიმდინარე პოლიტიკურ მოლაპარაკებებსა და კონტაქტის ფაქტებს (ტყვეების გაცვლა, ჰუმანიტარული კორიდორი და სხვ.). ასევე, აგრესიის მაგალითების გარდა, მედიამ სასურველია ასახოს კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი ადამიანების მიერ გამოჩენილი ჰუმანურობის მაგალითებიც და ორივე ქვეყანაში გაჟღერებული საზოგადოებრივი სამშვიდობო ინიციატივები.

VI. და ბოლოს - მიმდინარე ცხელი კონფლიქტის განხილვის პროცესში მედიამ სასურველია მეტი ყურადღება დაუთმოს იმ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც უშუალოდ ომისა და კონფლიქტების თემაზე მუშაობენ და არ შემოიფარგლოს მხოლოდ იმ რეკომენდაციებით, რომლებიც პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაზე არიან ორიენტირებული; ომისა და კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი საზოგადოებების პრობლემების გაშუქება რეალურად მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას, ეთიკას და აქცენტებს, რომელთა შესახებაც ჟურნალისტებმა ცოდნა სწორედ ამ საკითხებზე მომუშავე პროფესიონალებისგან შეიძლება მიიღონ.